პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 სექტემბერი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 180 (9591) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

16 სექტემბერს გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომლის მონაწილეებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტი „სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2.000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი" და რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანები.

კრებაზე მოწვეული იყვნენ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მედიცინის მუშაკთა აქტივი, მთელი რიგი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების წარმომადგენლები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჯ. ი. პატიაშვილი**, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ე. ი. ჩაზოვი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები: **ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ზ. ა. ჩხეიძე, ბ. ვ. ადლეიბა, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ხ. ხანაკოევი, ნ. რ. საჯაია.**

მოხსენება გააკეთა **ე. ი. ჩაზოვმა.**

კამათში მონაწილეობდნენ თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი **ხ. ნ. ხეჩინაშვილი**, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **ნ. მ. დუმბაძე**, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. მ. ცუგბა**, ქ. მარნეულის საავადმყოფოს უფროსი მედდა **ი. ვ. დენისიუკი**, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი **კ. კ. გარდაფხაძე**, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ა. დ. ზურაბაშვილი**, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ი. ა. მენაღარიშვილი**, სამხრეთ ოსეთის საოლქო საავადმყოფოს მთავარი ექიმი **ვ. გ. ცხოვრებოვი**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი **ა. ვ. ასათიანი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსი **ზ. გ. ღულუნიშვილი**, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ი. ი. კაციტაძე**, თბილისის ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. გ. კეკელიძე**, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ი. გ. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი **ე. პ. ქემერტელიძე**, საწარმოო გაერთიანება „საქქალალდმრეწვის" გენერალური დირექტორი **ო. ა. ფაცაცია**, ადიგენის რაიონის სოფელ ბოლაჯურის ამბულატორიის გამგე **ე. ლ. მამულაშვილი**, ქუთაისის საქალაქო სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი **თ. მ. სვანიძე**, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ამწყობი ზეინკალი **მ. ა. ბლიზნიუკი.**

აქტივის კრებაზე გამოვიდა **ჯ. ი. პატიაშვილი.**

განხილულ საკითხზე კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია.

(საქინფორმი)

## რვა წუთში ხუთი გამარჯვება

**ომსკში** ჩატარდა „შრომითი რეზერვების" საკავშირო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს თერთმეტი ათლეტი გამოდიოდა. მათგან ხუთმა საპრიზო ადგილები დაიკავა.

საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ: 48 კგ-ში ტარიელ შავაძე (მწვრთნელი ლევან შავაძე), 90 კგ-ში ნაიბი დვალიძე (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი თეიმურაზ ყაზარაშვილი) და 100 კგ-ში ნუგზარ გვიანიძე (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ოთარ კუსიანი. ყველა — თბილისი). მეორე ადგილი 48 კგ-ში ფრიდონ შავაძემ (გამარჯვებულის ძმამ) მოიპოვა, მესამე კი 57 კგ-ში მამუკა ბაბლუანმა (ორივე — თბილისი) დაიკავა.

განსაკუთრებით უნდა ითქვას ნუგზარ გვიანიძის წარმატებაზე, რომელმაც ხუთი შეხვედრის მოგებას 8 წუთი მოანდომა. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მოჭიდავეები გამარჯვებულ კოლექტივს (რსფსრ-ს) 6 ქულით ჩამორჩნენ. მესამე ადგილზე უკრაინის წარმომადგენლები გავიდნენ.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ნაკრების კანდიდატთა სიაში რვა ქართველი მოჭიდავე ჩაირიცხა. რვავე სპორტსმენი თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლის აღსაზრდელია.

ჩვენს გუნდს ომსკის ტურნირში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თამაზ კიკნაძე ხელმძღვანელობდა.

## მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩ-ტურნირი ვადამდე

**როგორც** იცით, თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა მოჭადრაკე ქალთა მატჩ-ტურნირი პრეტენდენტთა შეჯიბრების ორი საგზურის მოსაპოვებლად. ეს შეჯიბრება სამ წრედ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ, ვინაიდან ნონა გაფრინდაშვილმა და ირინა ლევიტინამ ვადამდე მიაღწიეს მიზანს, მესამე წრის გამართვა აღარ გახდა საჭირო. მონაწილეთა შეთანხმებით, მატჩი შეწყდა. ამრიგად, მატჩ-ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა ნონა გაფრინდაშვილმა — 3 ქულა 4 შესაძლებლიდან, მეორე იყო ირინა ლევიტინა — 2,5 ქულა; ჩეხოსლოვაკიელმა ელიშკა კლიმოვამ მხოლოდ ნახევარი ქულის მოგროვება შეძლო.



[illegible]-ში სექტემბერს ჩვენს რესპუბლიკაში იმართება მორბენლის დღე. მასობრივ [illegible] მონაწილეობას მიიღებენ [illegible]ბისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, რბენის მოყვარულთა კლუბები და ჯგუფები, ყველა, ვისაც სურს ჯანმრთელობა გაიკაჟოს. სპორტულ ბაზებზე სპორტსმენთა მონაწილეობით მოეწყობა საჩვენებელი გამოსვლები.

### ტელეტაიპი - მკითხველი

● **ლოზანა.** მძლეოსანთა სპორტული სეზონის ერთ-ერთი ბოლო შეჯიბრება გაიმართა ლოზანის (შვეიცარია) სტადიონზე 19 ათასი მაყურებლის თანდასწრებით. ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი კლასის შედეგი, მათ შორის ვოროშილოვგრადელ ოლგა ბრიზგინას მიერ 400 მეტრზე რბენაში. რომში, როგორც გახსოვთ, მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი ამ დისტანციაზე სწორედ ბრიზგინამ მოიპოვა. იგი ამჯერადაც პირველი იყო შედეგით — 49,94.

კარლ ლუისმა (აშშ) ორივე სპრინტერულ დისტანციაზე გაიმარჯვა: 100 მეტრზე 10,11 აჩვენა, 200 მეტრზე კი 20,02. 60 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი მსოფლიო ჩემპიონმა ბენ ჯონსონმა (კანადა) დაიკავა — 6,56. სიგრძეზე ყველაზე უფრო შორს ლარი მირიკსი (აშშ) გადახტა — 843 სმ.

რომის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულთაგან ზოგიერთს ლოზანაში ხელი მოეცარა. ასე მაგალითად, 800 მეტრზე რბენაში კენიელი ბილი კონჩელა ბოლო აღმოჩნდა (1.47,62), მსოფლიო ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში შვედი პატრიკ შიობერგი კი მეოთხე იყო, თუმცა ისეთივე შედეგი აჩვენა, როგორც გამარჯვებულმა დიტმარ მიოგენბურგმა (გფრ) — 230 სმ.

● **პარიზი.** ევროპული თანამეგობრობის საერთაშორისო ველორბოლის მონაწილეებმა უკვე მოილიეს ორი ქვეყნის გზები (იტალია, გფრ) და ახლა ასპარეზობას საფრანგეთში განაგრძობენ. მეშვიდე ეტაპის ფინიშთან პირველი გორკელი დიმიტრი კონიშევი მიიჭრა. 151 კილომეტრი მან 4:12.55-ში დაფარა. ასეთივე შედეგი ჰქონდა რბოლის კიდევ შვიდ მონაწილეს. შვიდი ეტაპის შემდეგ ლიდერობას ფრანგი პროფესიონალი ჟარკ მადიო ინარჩუნებს. რიგელი პიოტრ უგრიუმოვი მეხუთე ადგილზეა.

● **კიევი.** ტყვიის მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატში რუსეთის ფედერაციის სნაიპერებმა გაიმარჯვეს. მეორე ადგილზე გავიდნენ ბელორუსიის, მესამეზე — უკრაინის მსროლელები. დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ „გაქცეულ ტახზე" სროლაში. ერევნელმა არმენ რაფაელიანმა მცირეკალიბრიანი შაშხანით 591 ქულა დააგროვა (600-იდან) და ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა.



## ვალერი პარუნაშვილი — გამარჯვებულთა შორის

**ბუქარესტში** ჩატარდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა (1967-1969 წწ დაბადებულნი) დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც მწვრთნელები ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის სამზადისის ერთ-ერთ უმთავრეს ეტაპად განიხილავდნენ.

ტურნირში წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა. პირველი ადგილი და მთავარი ჯილდო მძიმე წონაში თბილისელმა ვალერი პარუნაშვილმა დაისაკუთრა. გორელი ძიუდოისტი მიხეილ ჯალაბაძე (95 კგ) მეორე ადგილზე გავიდა. მესამე საპრიზო ადგილები თბილისელმა ათლეტებმა დავით ბაგაურმა (86 კგ) და დავით ფიცხელაურმა (71 კგ) მოიპოვეს.

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელთა განცხადებით ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის შანსებს ინარჩუნებენ ჩვენი ძიუდოისტები — ვალერი პარუნაშვილი და დავით ფიცხელაური.

## მონდომების ნაყოფი

1981 წლის 15 აგვისტოს პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თაოსნობით ტყიბულში გაიხსნა ჭადრაკისა და შაშის კლუბი. მის განკარგულებაშია 184 კვადრატული მეტრი ფართობი. აქ ერთდროულად 50 დაფაზე შეიძლება თამაში.

აქ შექმნილ შვიდ ჯგუფში 80-მდე მოსწავლე მეცადინეობს. ჯგუფებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი მწვრთნელები, ოსტატობის კანდიდატები: ოთარ კობახიძე, გურამ ბოჭორიშვილი, დარეჯან გოჩელაშვილი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ქანთარია. წლების მანძილზე აქ მუშაობდა ოსტატობის კანდიდატი ბესო ხეცურიანი; აქ აღიზარდა რამდენიმე ათეული მეორე და მეხამეთანრიგოსანი, 12 პირველთანრიგოსანი და 3 ოსტატობის კანდიდატი — კობა კობახიძე, დარეჯან გოჩელაშვილი, ნანა რაზმაძე.

კლუბში უკვე 100-ზე მეტი ღონისძიება ჩატარდა. აქ ხშირად იკრიბებიან ჭადრაკის მოყვარულები ლექციების მოსასმენად, ეწყობა ერთდროული თამაშის სეანსებიც. სხვადასხვა დროს კლუბის სტუმრები ყოფილან ელენა ახმილოვსკაია, ედუარდ გუფელდი, ელიზბარ უბილავა და სხვები.

ჭადრაკი დიდი პოპულარობით სარგებლობს ტყიბულში. ეს, პირველ ყოვლისა, კლუბის კარგი მუშაობის, კლუბის დირექციისა და მისი ხელმძღვანელის გულნაზი ყიფიანის დამსახურებაა.

ელგუჯა ბაქრაძე,
„ლელოს" კორ.

ტყიბული.

## გაინტერესებთ, სქეითბორდი? მობრძანდით!

სქეითბორდს უამრავი მიმდევარი ჰყავს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ჩვენშიც დაინერგა ეს ახალი სახეობა, ტარდება შეჯიბრებები. სქეითბორდის თაყვანისმცემლებისთვის თბილისში რიყის ტერიტორიაზე, დედაქალაქის კომკავშირული ორგანიზაცია ხშირად მართავს საჩვენებელ გამოსვლებსა და ასპარეზობებს.



არის თუ არა სქეითბორდის ჯგუფები თბილისში? ამ შეკითხვით ხშირად მოგვმართავენ ახალგაზრდები. მათხ კითხვებზე პასუხის მისაღებად რედაქცია დაუკავშირდა თბილისის ცენტრალურ ველოდრომს, სადაც ბოლო ხანს სპეციალური ტრასა მოეწყო. ველოდრომის დირექციამ გვიპასუხა, რომ ახლა აქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი სქეითბორდში სამეცადინოდ (არის სწორი და რთულრელიეფური ტრასები, ვარჯიში ტარდება მუსიკის თანხლებით, მუშაობს გასახდელები, საშხაპეები, დასასვენებელი ოთახები და ა. შ.). ჯგუფების მეცადინეობა ტარდება დილის 8-დან 22 საათამდე. დაწვრილებითი ცნობებისთვის შეგიძლიათ მიაკითხოთ ველოდრომის დირექციას. მისამართი — უნივერსიტეტის ქ. № 8. ტელეფონი: 39-11-92; 39-71-26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რომი. 1960 წელი. „ფორო ოლიმპიკოს“ ოლიმპიური სტადიონი 27 წლის წინათაც ხალხით იყო გაჭედილი. მაშინაც სულგანაბული ადევნებდა თვალყურს მაყურებელი გიგანტთა ჭიდილს. სიმაღლეზე ხტომის სექტორში მხოლოდ ამერიკელი ჯონ თომასი, რობერტ შავლაყაძე და ვალერი ბრუმელი შემორჩნენ. ოლიმპიურ ოქროს მედალს ქართველი ათლეტი დაეუფლა.**

**ახლა, 27 წლის შემდეგ იმავე სტადიონზე მძლეოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღეა. იმავე სექტორში კვლავ სამი სპორტსმენი აგრძელებს ოქროს მედლისთვის დავას — შვედი პატრიკ შიობერგი, საბჭოთა გუნდის ლიდერები იგორ პაკლინი და გენადი ავდეენკო. რომის ოლიმპიადაზე რობერტ შავლაყიძემ 216 სმ. დაძლია და გამარჯვებულმა დატოვა სარბიელი, მსოფლიოს 1987 წლის ჩემპიონმა და მისმა ორმა მეტოქემ ერთნაირი სიმაღლე 238 სმ. დაძლიეს. ცდების მიხედვით ჩემპიონის წოდება შვედ სპორტსმენს მიენიჭა.**

**ეს იყო ჩემპიონატის ბოლო დღეს. მანამდე კი...**



# დედოფლის მთელი ამალა

## მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. რომი. 29 აგვისტო — 6 სექტემბერი, 1987 წ.

**სპრინტერ** ქალთა შეჯიბრებას ერთი ლიდერი ჰყავდა — სილკე გლადიში (გდრ). იგი დიდხანს უცდიდა თავის რიგს, ჯერ სახელგანთქმული სპრინტერები მარიტა კოხი და მარლიზ გიორი „ჩაგრავდნენ“, მერე — ჰაიკე დრექსლერი. ამ ჩემპიონატზე კი გლადიში ბევრად სჯობდა მეტოქეებს (მათ შორის დრექსლერსაც). 100 მეტრზე რბენის ფინალში მან ადვილად ჩამოიტოვა დრექსლერი (10,90 აჩვენა), შემდეგ ძალზე იოლად გაიმარჯვა ორჯერ უფრო გრძელ მანძილზე — 21,74 და სულ



მაურიციო დამილანო.

0,03 წამი დააკლდა მსოფლიო რეკორდამდე.

გლადიშს შეეძლო მსოფლიო ჩემპიონატის სამგზის ლაურეატი გამხდარიყო, მაგრამ 4X100 მ. ამანათრბენში თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს და პირველობა ამერიკელებს დაუთმეს — 41,58.

ეტყობა, შეჯიბრებაში აშკარა ფავორიტის მონაწილეობა უფრო მაშინ არის საინტერესო, როდესაც იგი სარეკორდო შედეგისათვის იბრძვის. ტაქტიკურ ბრძოლაში კი ყველაფერი გაცილებით პროზაულია. მაგალითად, 5 კმ-ზე რბენაში კარგა ხანს ლიდერობდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი კროსში კენიელი ჯონ ნგუგი, თუმცა ყველა ხედავდა, რომ იგი ამჯერად დირიჟორის პოსტზე შემთხვევით მოხვედრილ რიგით ორკესტრანტს ჰგავდა. ბოლო წრეზე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, წინ შესანიშნავი მაროკოელი მორბენალი საიდ აუიტა გავიდა და იოლად გაიმარჯვა — 13.26,44...

„ფორო იტალიკოს“ ჩრდილოეთი ტრიბუნა ინტერნაციონალური იყო, აქ თავი მოიყარა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იაპონიიდან, ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან ჩამოსულმა ათასობით ტურისტმა. განსაკუთრებით მრავლად იყვნენ ევროპელები — გერმანელები, დიდბრიტანელები, ფრანგები. გადაჭრელებული ტრიბუნა ეროვნული დროშით ვეებერთელა გამოფენას ჰგავდა. გაიმარჯვებდა თუ არა რომელიმე ქვეყნის წარმომადგენელი, ტრიბუნაც კალეიდოსკოპივით სწრაფად შეიცვლიდა ფერს. გამარჯვებული ათლეტი პირველ ყოვლისა სწორედ ამ ტრიბუნისაკენ გარბოდა, თანამემამულეთა მიერ მიწოდებულ თავისი ქვეყნის დროშას ლაბადასავით მოიგდებდა ზურგზე და ბილიკებზე საპატიო წრეს ისევ იმ ტრიბუნასთან ამთავრებდა.

ეს — ჩამოსული სპორტსმენები. სპორტული სიარულის იტალიელი ოსტატის დამილანოსთვის კი ყველა ტრიბუნა მშობლიური იყო.

ადვილად წარმოიდგენთ, რამდენი გულშემატკივარი ეყოლებოდა მას სტადიონის გარეთაც, როდესაც მეტოქეებით გარშემორტყმული კილომეტრებს „ნთქავდა“ ქალაქის ქუჩებში. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ადვილად მოიგო შეჯიბრება და ჭილდოდ ოქროს მედალთან ერთად თანამემამულეთა მხურვალე, ჭეშმარიტად იტალიური ოვაცია მიიღო.

სპორტული მოსიარულეები უბრალო ხალხია. დამილანოც, თავისი ტიტულების მიუხედავად, პრესკონფერენციაზე შემთხვევით მოხვედრილ ადამიანს ჰგავდა. მან აღნიშნა, რომ გამარჯვებაში დიდად დაეხმარა რომაული ჰავა, მის მეტოქეებს კი აკლიმატიზაციის პრობლემა ჰქონდათ გადასაწყვეტი, დამილანომ დაასახელა თავისი საყვარელი კერძებიც, რასაც იგი ჩვეულებრივ შეჯიბრების წინ შეექცევა: სპაგეტი, იტალიური შამხი და მინერალური მარილებით გაჯერებული წყალი დისტანციაზე ორგანიზმის დანაკარგების ასანაზღაურებლად. უნდა ითქვას, რომ იტალიელმა სპორტსმენმა, სიცხის მიუხედავად, 20 კილომეტრი ძალიან სწრაფად გაიარა — 1:20.45.

50-კილომეტრიან დისტანციაზე ამკარა იყო გდრ-ის წარმომადგენელთა უპირატესობა. ოლიმპიურ ჩემპიონს ჰარტვიგ გაუდერისა და მსოფლიო ჩემპიონ როლანდ ვაიგელის ბრძოლა პირველის სასარგებლოდ დამთავრდა. გამარჯვებულმაც ძალიან მაღალი შედეგი აჩვენა (3:40.53) და დამარცხებულმაც (3:41.30). ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ რომაულ სიცხეს სპორტსმენებისათვის ხელი არაფერში შეუშლია...

მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტებული ჟურნალისტები „ორ ფრონტზე იბრძოდნენ“: ცალკე — შეჯიბრება, ცალკე — მარადიული ქალაქის ღირსშესანიშნაობები. ზოგი რომში ადრეც ყოფილა, მაგრამ აბა ვის მოუთმენდა გული, ერთხელ კიდევ არ შეევლო თვალი ისტორიისა და კულტურის უძვირფასესი ძეგლებისთვის, მსოფლიოში განთქმული შედევრებისთვის?

რომში ყველაფერი სიძველით სუნთქავს. ძველი შენობების რესტავრაციაც (ქალაქში ძალზე ბევრი ხარაჩო ვნახეთ) უდიდესი სიფრთხილით ხდება. ქალაქის დათვალიერების შემდეგ გაგვკვირვებია, რატომ მოითხოვს ბევრი რომაელი გაერთიანებული იტალიის პირველი მეფის ვიქტორ ემანუელ მეორის ბრძანებით აშენებული პომპეზური — „ელტარე დელლა პატრიას“ („სამშობლოს სამსხვერპლო“) აღებას. მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში აგებული ეს ერთი შეხედვით ეფექტური შენობა მართლაც გამომწვევი სითეთრით ბრწყინავს უძველეს თალხ-მოწითალო კვარტალს შორის...

**სწორედ** ამ მშვენიერ ადგილებში გადიოდა მარათონის ტრასა. მაღლა მქროლავ ვერტმფრენებსა და დირიჟაბლზე დადგმული ტელეკამერები საშუალებას იძლეოდა რომის ქუჩებში გამართული ბრძოლის ყოველი ეპიზოდი გენახათ. თუმცა, ეს მხოლოდ ვაჟთა გარბენს ეხება. ქალთა შეჯიბრებაში კი ევროპის ორგზის ჩემპიონმა, პორტუგალიელმა როზა მოტამ უკვე მეხუთე კილომეტრზე „მიატოვა“ მეტოქეები და ეულად გაირბინა დარჩენილი მანძილი. სანამ სტადიონის ბილიკზე მისი უახლოესი მეტოქეები გამოჩნდებოდნენ, მოტამ „ფორო ოლიმპიკოზე“ მისვლაც მოასწრო, გამარჯვების სიხარულის გამოხატვაც და ფოტოაპარატების წინ პოზირებაც. პორტუგალიელმა მარათონელმა ქალმა შვიდ წუთზე მეტით (ეს დაახლოებით 2 კილომეტრს უდრის) ჩამოიტოვა შეჯიბრების ვერცხლის პრიზიორი, საბჭოთა გუნდის წევრი ზოია ივანოვა.

ვაჟთა მარათონის დროს ჟურნალისტები მთელი შეჯიბრების მანძილზე ცნობარებს ატრიალებდნენ ხელში, ცდილობდნენ დაედგინათ, ვინ ლიდერობდა დისტანციაზე. ჯერ იყო და ყველას თავგზა აუბნია თითქმის უცნობმა კანადელმა პეტერ მაიერმა, რომელსაც ოცდამეთხუთმეტე (!) შედეგი ჰქონდა მონაწილეთა შორის. იგი კარგა ხანს თითქმის 2 წუთს უგებდა მეტოქეებს. როდესაც მაიერი დაიღალა, იგი კენიელმა მორბენალმა დუგლას ვაკიჰურიმ შეცვალა. ვაკიჰური აინუნშიც არ აგდებდა, რომ სხვა მორბენლებს მასზე 4-5 წუთით უკეთესი შედეგები ჰქონდათ და დამაჯერებლად მიიწევდა წინ. ალბათ რომის ცხელი ჰავაც ზედგამოჭრილი აღმოჩნდა აფრიკელი მარათონელისათვის. ზევრს ეცადნენ მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი, ჯიბუტელი ჰუსეინ აჰმედ სალეჰი და ევროპის ჩემპიონი, იტალიელი გელინდო ბორდინი ლიდერს დასწეოდნენ, მაგრამ მიზანს ვერა და ვერ მიაღწიეს. ვაკიჰურიმ ღიმილით გადაკვეთა ფინიშის ხაზი და ასევე ღიმილით, იმავე ტემპით დაიწყო სტადიონზე საპატიო წრის შემორბენა, მისი მეტოქეები კი ფინიშის შემდეგ ძლივსღა დალასლასებდნენ. ეს იყო ყოველმხრივ დამაჯერებელი გამარჯვება! ვაკიჰურის წარმატება (მან 2:11.48 აჩვენა) ჩემპიონატის ერთ-ერთი სენსაცია გახლდათ.

**კენიელები** ჩემპიონატის შემდეგ კმაყოფილნი იფშვნეტდნენ ხელებს: მათზე მეტი ოქროს მედალი მხოლოდ სამი დიდი „სპორტული“ სახელმწიფოს—გდრ-ის, აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის გუნდებმა მოიპოვეს. ვაკიჰურისა და კიპკოეჩის გარდა 800 მეტრზე რბენაში ჩემპიონი გახდა ბილ კონჩელაჰი — 1.43,06.

კენიაში სპორტის სახეობათაგან ფაქტობრივად მხოლოდ საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენაა პოპულარული და იქაურ სპორტსმენთა შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები ყველაზე მეტად ე. წ. „გამძლეობაზე სირბილში“ ვლინდება.

ედვინ მოზესი, ეს ამერიკელი თარჯმრბენი თითქმის ათი წელი ბატონობდა მსოფლიოს სტადიონებზე. მაგრამ დრო თავისას შვრება. ახლა მოზესმა მშვენივრად იცოდა მეტოქეების სიძლიერე და გრძნობდა, რომ მისი ავტორიტეტი უკვე ბეწვზე ეკიდა... მართლაც, მან ძალების უდიდესი დაძაბვის ფასად მოიპოვა ოქროს მედალი (47,46), სულ წამის ორი მეასედით აჯობა თანაგუნდელ დენი ჰარისსა და ჰერალდ შმიდს (გფრ), მერე კი, გახარებული, ცოლთან ერთად სტადიონზევე დიდხანს იღებდა მილოცვებს. თუმცა, ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ ეს გამარჯვება შეიძლება „გედის სიმღერა“ გამოდგეს დაუმარცხებელი ჩემპიონისთვის.

სრული ფიასკო განიცადა მსოფლიო ჩემპიონმა, ინგლისელმა სტივ კრემმა. 1500-მეტრიან დისტანციაზე მძლეოსნობის ამომავალი ვარსკვლავის, სომალელი აბდი ბილეს გამოჩენამ, ეტყობა, რწმენა შეურყია მას. ბილემ იოლად მოიგო გარბენი (3.36,80), ხოლო კრემი VIII ადგილზე აღმოჩნდა.

წლეულს 400 მეტრზე რბენაში ერთგვარი „რენესანსის“ ხანა იყო. 19 წლის წინ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ამ დისტანციაზე გამარჯვებულმა ლი ევანსმა 43,86 აჩვენა, ხოლო ვერცხლის მედალოსანმა ლარი ჯეიმსმა — 43,97. მას შემდეგ მათი მიღწევები „აუღებელ მწვერვალებად“ ითვლებოდა. მხოლოდ წლეულს გამოჩნდნენ სპორტსმენები, რომლებიც სერიოზულად დაემუქრნენ ამ შედეგებს. ლაპარაკია ამერიკელ ჰარი რეინოლდზე (44,10) და ნიგერიელ ინოსენტი ეგბუნიკეზე (44,17). მაგრამ ორივე მშრალზე დატოვა გდრ-ის გუნდის წევრმა თომას შონლიბემ. მან ევროპის რეკორდი (44,33) დაამყარა და ოქროს მედალიც დაისაკუთრა...

**მძლეოსანთა** თითოეული გარბენი არა მარტო სპორტსმენების, არამედ მათი დამრიგებლების ბრძოლაც არის. ფეხბურთელთა მატჩის დროს ერთმანეთს უპირისპირდება ორი გეგმა, ორი გუნდის მწვრთნელთა ჩანაფიქრი, მძლეოსანთა შეჯიბრების წინ კი იმდენი გეგმა დგება, რამდენი სპორტსმენიც გამოდის, საქმეში ჩახედული მაყურებელი ხშირად ხვდება სპორტსმენთა საბრძოლო ტაქტიკას და ამიტომ მათი შეჯიბრების ცქერა განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს, თუმცა ხშირად გამოცდილ თვალსაც კი უჭირს ვითარების სწორად შეფასება.

მაგალითისთვის აქ მოვიყვანთ ერთ-ერთ ტაქტიკურ ვარიანტს, რომელიც გდრ-ის მორბენლებმა გამოიყენეს 1500-მეტრიან დისტანციაზე. აქ უდავო ფავორიტად ითვლებოდა საბჭოთა სპორტსმენი ტატიანა სამოლენკო, რომელმაც ორიოდე დღით ადრე 3 კმ-ზე რბენაშიც გაიმარჯვა. იგი მეტად ძლიერი ფინიშითაა ცნობილი და მეტოქეებმა გადაწყვიტეს მისთვის ამ იარაღის გამოყენების საშუალება არ მიეცათ. გდრ-ის გუნდის ერთ-ერთმა წევრმა, კერძოდ ულრიკე ბრუნსმა, ძალიან მაღალი ტემპით დაიწყო რბენა, რათა დისტანციის ბოლოს სამ კილომეტრზე გამოსვლის შემდეგ ისედაც დაღლილ სამოლენკოს თავისი ცნობილი სპურტისთვის ძალა აღარ შერჩენოდა. ბრუნსმა ამ შემთხვევაში საკუთარი წარმატება თანაგუნდელებს ანაცვალა: სამი წრის შემდეგ მან დისტანცია დატოვა, ხოლო მის ზურგს უკან დადარაჯებულმა კოერნერმა და გასერმა მთელი ძალით გაუტიეს წინ. მათი ტაქტიკა მეტად გონივრული იყო და კინაღამ აჯობეს კიდეც აშკარა ფავორიტს, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენმა ძალების უკიდურესი დაძაბვით შეძლო დისტანციის ბოლოს მინიმალური უპირატესობის მოპოვება. იგი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდა.

სიგრძეზე მხტომელებში ყურადღება, რასაკვირველია კარლ ლუისმა და რობერტ ემიანმა მიიპყრეს. როდესაც ამერიკელს ჰკითხეს, რას ფიქრობთ იმ ბრწყინვალე შედეგზე, რომელიც ემიანმა წახკაძორში აჩვენაო, მან უპასუხა: „მაღალმთიანეთის პირობებში, ისიც პატარა რაიონში ნაჩვენებ შედეგს მე ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ. აქ კი, რომში, ყველა თანაბარ პირობებში ვართ...“

ლუისსა და ემიანს თავ-თავიანთი „კოზირები“ აქვთ. სომეხი სპორტ-



სერგეი ბუბკა.

სმენისათვის ეს კოზირი უმაღლესი ტექნიკაა. „ასეთი ტექნიკითა და ჩემი სისწრაფით 9,40 მეტრზე შეიძლება გადახტომა“, — შენიშნა კარლ ლუისმა შეჯიბრების შემდეგ.

სწორედ კოლოსალურ სისწრაფეშია ამერიკელი მხტომელის ძალა. იგი კატაპულტივით „ისვრის“ სპორტსმენს წინ და ფაქტობრივად დაუმარცხებელს ხდის სპორტის ამ სახეობაში. ემიანი კი, თავისი ღირსებების მიუხედავად, 100 მეტრზე რბენაში ლუისს საგრძნობლად ჩამორჩება და ამ დანაკლისის ანაზღაურება მეტად ძნელი საქმეა.

მიუხედავად ამისა, ევროპის რეკორდსმენმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ლუისს და კარგი შედეგით (8,53 მ) მეორე ადგილი დაიკავა. ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი კი სტაბილურად ხტებოდა 8,60 მეტრს იქით და ორ საუკეთესო ცდაზე 867 სმ აჩვენა.

**რუსთაველი** მსოფლიო ჩემპიონი ტამარა ბიკოვა შეუპოვრად იბრძოდა, მაგრამ მაინც მოუხდა თავისი ტიტულის დათმობა — მას აჯობა აშკარა ფავორიტმა, მსოფლიოს რეკორდსმენმა ბულგარელმა სტეფკა კოსტადინოვამ, რომელმაც მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა.

სერგეი ბუბკას გამოსვლის აღწერისათვის ალბათ ჯობს ერთ იტალიურ გაზეთში გამოქვეყნებული წერილის სათაური მოვიშველიოთ: „ორი ნახტომი და მსოფლიო ნოკაუტშია!“ ბუბკას დღეს მართლაც არა ჰყავს ღირსეული მეტოქე და მისი ყოველი გამოსვლა ფაქტობრივად მხოლოდ სიმაღლესთან ჭიდილით მთავრდება. თვით სახელგანთქმულმა დიეგო მარადონამ მასთან ინტერვიუსთვის მისულ საბჭოთა ჟურნალისტს სანაცვლოდ სერგეი ბუბკას ავტოგრაფი სთხოვა.

სამხტომში ბრწყინვალე შედეგით პირველი იყო ბულგარელი ქრისტო მარკოვი — 17,92 მ.





სურათებზე: საიდ აუიტა (№ 683): „აბა, ვინ დამეწევა!“; ედვინ მოზესმა (მარჯვნიდან პირველი) უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა დენი ჰარისი და ჰერალდ შმიდი (შუაში).

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**გიორგი ჩოჩიშვილი,**
„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები.

რომი — თბილისი.

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 177, 178.

## ევროპის საკლუბო ტურნირები

დაიწყო 1987-88 წლების ევროპის საკლუბო ტურნირების I წრის მატჩები ფეხბურთში. 15 სექტემბერს გაიმართა პირველი შეხვედრები.

**თასების მფლობელთა თასი.** „სპორტინგი“ (პორტუგალია) — „ტიროლი“ (ავსტრია) 4:0, „ავენირი“ (ლუქსემბურგი) — „ჰამბურგი“ (გფრ) 0:5, „აკრანესი“ (ისლანდია) — „კალმარი“ (შვეიცარია) 0:0.

**უეფა-ს თასი.** „ბოჰემიანსი“ (ირლანდია) — „აბერდინი“ (შოტლანდია) 0:0, „სელტიკი“ (შოტლანდია) — „ბორუსია“ (გფრ) 2:1, „მენდელენი“ (ნორვეგია) — „ვერდერი“ (გფრ) 0:5, „სპორტული“ (რუმინეთი) — „კატოვიცე“ (პოლონეთი) 1:0, „აუსტრია“ (ავსტრია) — „ბაიერი“ (ლევერკუზენი, გფრ) 0:0.

● ● ●

გთავაზობთ გუშინდელ იმ შეხვედრათა შედეგებს, რომლებიც ჩვენი გაზეთის დაბეჭდვის დროისთვის იყო ცნობილი:

**ჩემპიონთა თასი**

„დინამო“ (კიევი) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) 1:0.

**თასების მფლობელთა თასი**

„დინამო“ (მინსკი) — „გენჩლერბირლიგი“ (თურქეთი) 2:0.

**უეფა-ს თასი**

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ) 3:0.

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ბრიუგე“ (ბელგია) 2:0.

## ჩვენი სპონსორი

**15 სექტემბერს** მოსკოვში ხელი მოაწერეს „სოვინტერსპორტისა“ და „დორნა მენეჯმენტის“ (ისტერნიუროპი) კონტრაქტს სსრ კავშირის 6 საფეხბურთო კლუბის სპონსორობაზე, რომლებიც 1987-88 წლების ევროპულ საკლუბო გათამაშებებში მონაწილეობენ.

იტალიის სამრეწველო ფირმა „ოკრიმ სპა“ (ქ. კრემონი), რომელსაც საქმიანი ურთიერთობანი აქვს საბჭოთა ორგანიზაციებთან, სპონსორობას გაუწევს კიევის „დინამოს“, მინსკის „დინამოს“, მოსკოვის „სპარტაკს“, მოსკოვის „დინამოს“, თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“. ყველა ეს ექვსი გუნდი „ოკრიმის“ ერთი და იგივე სიმბოლოთი გამოვა უეფა-ს ტურნირების პირველ წრეში. ეს გლობალური სპონსორობის პირველი კონტრაქტია ერთი ქვეყნის ყველა გუნდისთვის, რომლებიც ერთდროულად გამოდიან უეფა-ს თასებზე, რაც „სოვინტერსპორტისა“ და „დორნა მენეჯმენტ გრუპის“ სერიოზული ურთიერთთანამშრომლობის შედეგს წარმოადგენს.

სპონსორობიდან მიღებული თანხები სსრ კავშირში მასობრივი სპორტის განვითარებას მოხმარდება.

## ცვლილებები თბილისის „დინამოში“

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივში მოხდა ცვლილებები. გუნდიდან წავიდნენ ვ. ქვანია, მ. ჟორდანია, ს. მალანია და ა. ჩეკუნოვი. ოჯახური პირობების გამო სოხუმს დაუბრუნდა რ. ხაგბა.

## II ლიგა

15 სექტემბერს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 24-ე ტურის მატჩები:

„ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 4:2, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „გოიაზანი“ (ყაზახი) 1:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 0:2, „ვოსხოდი“ (სუმგაითი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 3:0, „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:0, „დილა“ (გორი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 2:0, „ლორი“ (კიროვაკანი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0.

# სოფიის „ლოკომოტივი“ დღეს

**სოფიის** „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებს ბულგარეთის 1986-87 წლების ჩემპიონატში კონკრეტული ამოცანა ჰქონდათ დასახული — საპრიზო ადგილის დაკავება. ჩემპიონობისთვის ბრძოლა, როგორც მოსალოდნელი იყო, სოფიის „სრედეცსა“ (ყოფილი „ლევსკი-სპარტაკი“) და ამავე ქალაქის „ვიტოშას“ (ყოფილი ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“) შორის უნდა წარმართულიყო, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას კი თავის უშუალო მეტოქეებად უეფა-ს თასზე მონაწილეობისთვის დავაში სოფიის „სლავია“ და პლოვდივის „თრაკია“ მიაჩნდა. პროგნოზები, შეიძლება ითქვას, გამართლდა. ჩემპიონატში „სრედეცმა“ დამაჯერებლად გაიმარჯვა და 3 ქულით გაუსწრო „ვიტოშას“, მესამეზე „თრაკია“ გამოვიდა, „ლოკომოტივმა“ კი მხოლოდ ბოლო, 30-ე ტურში მიაღწია მიზანს. ამ ტურის წინ „სლავია“ მას 2 ქულით უსწრებდა, მაგრამ მეტოქეებს სწორედ ერთმანეთთან ჰქონდათ სათამაშო. „ლოკომოტივმა“ ეს მატჩი დიდი ანგარიშით მოიგო — 5:1 და ბურთების უკეთესი სხვაობით მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც მის დიდ წარმატებად ჩაითვალა. საინტერესოა ისიც, რომ დებულების თანახმად, თუ ჩემპიონატის რომელიმე მატჩი ფრედ დამთავრდებოდა ანგარიშით 0:0, გუნდებს ქულა არ ეწერებოდათ. „ლოკომოტივს“ ჩემპიონატში ერთი ასეთი მატჩი ჰქონდა, ხოლო დანარჩენ პრიზიორებს — არც ერთი.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მიმომხილველებმა ერთხმად აღნიშნეს „ლოკომოტივის“ მწვრთნელის აპოსტოლ ჩაჩევსკის გულმოდგინე მუშაობა. მას ლიგაში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავდა, რკინიგზელები შემტევი, ენერგიული სტილით თამაშობდნენ, სეზონის განმავლობაში დაწინაურდა რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშე, რომლებიც ამავე კლუბის ახალგაზრდულ გუნდში (ჩვენებურად — სათადარიგო შემადგენლობაში) აღიზარდნენ.

8 აგვისტოს დაიწყო ბულგარეთის ახალი, 1987-88 წლების ჩემპიონატი, მასში ტრადიციულად 16 გუნდი მონაწილეობს.

აი, რა განაცხადა ჩემპიონატის დაწყების წინ „ლოკომოტივის“ უფროსმა მწვრთნელმა ა. ჩაჩევსკიმ.

— პირველად მოხდა, რომ გუნდის მომავალი ადგილი „დაგეგმეს“ არა მწვრთნელებმა და ხელმძღვანელებმა, არამედ თვით გუნდის წევრებმა. ყველა მათგანს გამოვკითხეთ აზრი, თუ რეალურად რომელი ადგილისთვის შეიძლება ბრძოლა ჩემპიონატში. სასიამოვნოა, რომ ყველა ფეხბურთელი შესაძლებლად მიიჩნევს მესამე საპრიზო ადგილის დაკავებას. ეტყობა, მათ სჯერათ თავიანთი ძალების, რეალურად აფასებენ სიტუაციას.

„ლოკომოტივის“ განაცხადი ჩემპიონატზე სოფიის გაზეთმა „ნაროდენ სპორტმა“ გამოაქვეყნა: სტოიკო სტოევი (1962 წ., წინა ჩემპიონატში 18 ბურთი გაიტანა), პლამენ ნიკოლოვი (1961), პაველ დოჩევი (1965), ალექსანდრ ბონჩევი (1965), დიმიტრ ვასევი (1965), კირილ მეტკოვი (1965), ალექსანდრ დუდოვი (1963), ვლადიმირ ლალოვი (1958), ნასკო ჟელევი (1960), გოშო პეტკოვი (1962), ნიკოლაი ტოდოროვი (1964), ივან სტოიანოვი (1962), ივან ვასილიევი (1960), ანტონ ველკოვი (1968), იულიან ნაკოვი (1968).

გარდა ამისა, გაზეთმა ცალკე გამოჰყო „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში ახლად მიღებული ფეხბურთელები: ხრისტო ზლატინოვი (1961) ბლაგოევგრადის „პირინიდან“, იოსიფ ივანოვი (1964) პლოვდივის „მეტალურგიდან“, ანტონინ ზდრავკოვი (1965) სოფიის „ვიტოშადან“, ფილიპ ნიკოლოვი (1968), გორიან მილანოვი (1967), ლიუბომირ კრესტანოვი (1969) „ლოკომოტივის“ ახალგაზრდული გუნდიდან.

თავისი პირველი კალენდარული მატჩი ბულგარეთის პირველობაზე სოფიის „ლოკომოტივმა“ ქ. პერნიკში ჩაატარა პირველი ლიგის დებიუტანტ „მინიორთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გაიტანა გოშო პეტკოვმა.

„ნაროდენ სპორტის“ მიმომხილველების აზრით „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში გამოირჩეოდა თავდასხმის ხაზი — ბონჩევი (ეროვნული გუნდის წევრი), სტოევი, პეტკოვი. საერთოდ „ლოკომოტივი“ ამ მატჩში იმედებს კონტრშეტევაზე ამყარებდა და ამ ტაქტიკამ გაამართლა კიდეც. მიმომხილველები ძალიან აქებენ სოფიელთა მეკარეს ნიკოლოვს, რომელმაც ძალზე ძნელი ბურთები აიღო მასპინძლების ყველაზე სახიფათო თავდამსხმელ გრიგოროვისა და სლავჩევისგან.

ყოველი მატჩის შემდეგ მწვრთნელები მოთამაშეებს ნიშნებს უწერენ, „მინიორთან“ ნიკოლოვმა და პეტკოვმა უმაღლესი შეფასება მიიღეს, დანარჩენებმა კი — ოთხიანები. ერთი საინტერესო ცნობაც: გაზეთები აქვეყნებენ ყოველი ტურის „ნაკრების“ შემადგენლობას. პირველი ტურის შეფასებით ნაკრებში „ლოკომოტივიდან“ მოხვდნენ მეკარე ნიკოლოვი და ცენტრალური მცველი დოჩევი.

**ვივი გამრეკელი.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

12 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 24-ე ტურის მატჩები. გთავაზობთ ამ შეხვედრათა ტექნიკურ მონაცემებს.

**„სპარტაკი“ — „მეტალისტი“ 2:1 (1:0).** გოლები: როდიონოვი, ბუბნოვი („სპარტაკი“), ტარასოვი („მეტალისტი“).

გააფრთხილეს ხარკოველთა მეკარე კუტეპოვი.

დუბლიორები — 2:0.

**ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი) 2:2 (1:1).** გოლები: ბოროდიუკი, კარატაევი („დინამო“), ლევინი, მასალიტინი („სპარტაკი“).

გააფრთხილეს არმიელი ფეხბურთელი მალიუკოვი.

დუბლიორები — 0:1.

**„დინამო“ (მინსკი) — „ჟალგირისი“ 1:1 (1:1).** გოლები: გოცმანოვი („დინამო“), ივანაუსკასი („ჟალგირისი“).

გააფრთხილეს ვილნიუსელი ფეხბურთელი ბუზმაკოვი.

დუბლიორები — 4:1.

**„ზენიტი“ — „ქაირათი“ 1:2 (0:0).** გოლები: სტეპანოვი („ზენიტი“), იაროვენკო, კარაჩუნი („ქაირათი“).

დუბლიორები — 1:0.

**„დნეპრი“ — „შახტიორი“ 3:1 (2:0).** გოლები: ლიტოვჩენკო, პროტასოვი, ტარანი („დნეპრი“), ხლისტა („შახტიორი“).

დუბლიორები — 5:1.

**„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ 2:2 (1:1).** გოლები: მიხაილიჩენკო, იარემჩუკი („დინამო“), პოლუკაროვი, გრეჩნევი („ტორპედო“).

გააფრთხილეს დინამოელი იაკოვენკო.

დუბლიორები — 1:0.

● **განვლილი** ტურის 8 მატჩში მსაჯებმა 7 პენალტი დანიშნეს. ლენინგრადელმა ჟელუდკოვმა „ქაირათთან“ მატჩში, როცა ანგარიში 1:1 იყო, 87-ე წუთზე ვერ შეძლო 11-მეტრიანის გატანა, სხვა შემთხვევებში ყველა პენალტი გოლით დამთავრდა.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის კვლავინდებურად წინაა ო. პროტასოვი, რომელმაც 13 ბურთი გაიტანა. 10 გოლია ვილნიუსელ ა. ნარბეკოვასის ანგარიშზე.

● **ფრეთა** ლიმიტი (10) უმაღლეს ლიგაში ამოწურეს მოსკოვის გუნდებმა „სპარტაკმა“, „ტორპედომ“ და „დინამომ“.

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 17 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 24 | 18 | 3 | 3 | 51-18 | 39 |
| „სპარტაკი“ | 24 | 18 | 1 | 5 | 65-27 | 37 |
| „დინ.“ კ. | 23 | 12 | 6 | 5 | 41-28 | 30 |
| „ჟალგირ.“ | 23 | 9 | 11 | 3 | 38-18 | 29 |
| „დინ.“ მნ. | 24 | 10 | 6 | 8 | 40-30 | 26 |
| „შახტიორი“ | 23 | 10 | 6 | 7 | 26-23 | 26 |
| „დინ.“ მ. | 23 | 10 | 5 | 8 | 27-21 | 25 |
| ცსკა | 23 | 10 | 4 | 9 | 37-38 | 24 |
| „ნეფთჩი“ | 23 | 9 | 6 | 8 | 27-37 | 24 |
| „ქაირათი“ | 24 | 8 | 6 | 10 | 32-38 | 22 |
| „ზენიტი“ | 24 | 7 | 6 | 11 | 31-47 | 20 |
| „ტორპედო“ | 24 | 5 | 7 | 12 | 16-29 | 17 |
| „მეტალის.“ | 24 | 5 | 5 | 14 | 21-35 | 15 |
| „დინ.“ თბ. | 23 | 4 | 7 | 12 | 27-42 | 15 |
| „არარატი“ | 24 | 5 | 4 | 15 | 25-46 | 14 |
| „გურია“ | 23 | 5 | 3 | 15 | 23-50 | 13 |

## საქართველოს პირველობა

**განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.**

**I ჯგუფი**

**„ივერია“ (ხაშური) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:1. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: მაღრაძე („ივერია“), დანგაძე („სამეგრელო“).

**„სქური“ (წალენჯიხა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).** გოლი: რ. გუჩუა („ამირანი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ოჩამჩირელი ფეხბურთელები თ. შამუგია და ა. ურთმელიძე, ხოლო დროის განზრახ გაყვანისათვის — ე. როსტობაია.

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:1. მსაჯი შ. თომაშვილი (თბილისი).** გოლები: მებუკე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ონიანი, ჰ. იობიძე-2 („შადრევანი“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „კახეთი“ (თელავი) 1:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლი: კიკნაძე („მეტალურგი“).

**„იმერეთი“ (ქუთაისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 3:1. მსაჯი ს. პრავოვი (გაგრა).** გოლები: ჩიხლაძე, ტროიანი-2 („იმერეთი“), ქორქია (ახალგ. საფეხ. სკოლა).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:0. მსაჯი ვ. ხეროიანი (თბილისი).** გოლი: სანადირაძე („დურუჯი“).

**„მადნეული“ (ბოლნისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:3. მსაჯი გ. გვარამაძე (რუსთავი).** გოლები: უგულავა, ჯაგოვი („მადნეული“), ჩიქობავა, შონია-2 („ეგრისი“).

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „დინამო“ (გაგრა) 2:1. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: როყვა-2 („მერცხალი“), მამარდაშვილი („დინამო“).

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „სულორი“ (ვანი) 3:2. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).** გოლები: დვალიშვილი-2 („სულორი“), შეროზია-3 („დინამო“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ზუგდიდელი ზ. ბულია.

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:3. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: მურვანიძე, მონიავა-2 („სალხინო“), დოლიაშვილი, ქობელაშვილი, ჰუმბურიძე („არმაზი“).

**„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1. მსაჯი მ. მალალურაძე (თბილისი).** გოლები: გაგნიძე („ქართლი“), ლატარია („კოლხეთი“).

მსაჯის გადაწყვეტილებაზე უკმაყოფილების გამოხატვისთვის გააფრთხილეს გორელი ლ. რაზმაძე და ხობელი ე. ქომეთიანი.

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) 5:1. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი).** გოლები: ჩოჩიევი, ი. ჯიოევი, ხუბეჯიშვილი-3 („სპარტაკი“), კერძევაძე („იმედი“-„დინამო“-2).

განზრახ ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს ცხინვალელი ს. გაბელაია.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხ.“ | 31 | 19 | 10 | 2 | 50-20 | 48 |
| „შადრევ.“ | 31 | 20 | 6 | 5 | 52-26 | 46 |
| „კოლხეთი“ | 30 | 19 | 6 | 5 | 54-24 | 44 |
| „სამეგრ.“ | 31 | 15 | 11 | 5 | 51-24 | 41 |
| „სქური“ | 29 | 16 | 6 | 7 | 63-32 | 38 |
| „სულორი“ | 31 | 14 | 9 | 8 | 36-33 | 37 |
| „ამირანი“ | 31 | 14 | 7 | 10 | 39-36 | 35 |
| „მეტალ.“ | 31 | 14 | 4 | 13 | 44-39 | 32 |
| „სპარტ.“ | 31 | 10 | 11 | 10 | 49-47 | 31 |
| „დინამო“ ზ. | 30 | 11 | 8 | 11 | 43-35 | 30 |
| „ეგრისი“ | 30 | 11 | 8 | 11 | 46-46 | 30 |
| „დინამო“ გ. | 30 | 10 | 10 | 10 | 34-42 | 30 |
| „იმ.-დინ.“-2 | 24 | 11 | 7 | 6 | 46-34 | 29 |
| ფიზკ. ინს. | 28 | 11 | 7 | 10 | 43-39 | 29 |
| „ქართლი“ | 29 | 11 | 6 | 12 | 36-36 | 28 |
| „სალხინო“ | 31 | 8 | 12 | 11 | 42-52 | 28 |
| „მადნ.“ | 29 | 8 | 10 | 11 | 47-36 | 26 |
| „საპოვნელა“ | 31 | 8 | 7 | 16 | 34-54 | 23 |
| „ივერია“ | 31 | 7 | 9 | 15 | 30-41 | 23 |
| „კახეთი“ | 30 | 8 | 6 | 16 | 47-59 | 22 |
| „იმერეთი“ | 30 | 8 | 6 | 16 | 40-65 | 22 |
| „დურუჯი“ | 31 | 6 | 10 | 15 | 27-42 | 22 |
| „არმაზი“ | 29 | 6 | 8 | 15 | 30-50 | 20 |
| ახ. საფ. სკ. | 31 | 3 | 0 | 28 | 21-92 | 6 |

# ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი

**მალე** დაიწყება სამი ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობები. წინა წლებთან შედარებით შეჯიბრებათა დებულებებში გარკვეული ცვლილებები მოხდა, რაც, უდავოდ, ხელს შეუწყობს პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენას.

4 ოქტომბერს დაიწყება უმცროსი ასაკის (1973-74 წლებში დაბადებულნი) პირველობა, ფაქტიურად ესაა „სიჭაბუკის“ თასის ტურნირი. შარშანდელთან შედარებით ზონებისა და მონაწილე გუნდების რაოდენობა თითქმის არ შეცვლილა, შეჯიბრებაში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოში — 21-25 სექტემბერს.

საშუალო ასაკის ფეხბურთელთა შეჯიბრებაში (1971-72 წლებში დაბადებულნი) მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს (ფეხბურთის სკოლები, კომპლექსური სპორტსკოლების საფეხბურთო ჯგუფები, სპორტული სკოლა-ინტერნატები და სხვ.), ვისაც კი სამისო სამივლინებო თანხა აქვს. შარშანდლისგან განსხვავებით გათამაშება ჩატარდება ერთ ზონად და ერთ წრედ. გუნდებს 20 და მეტი მატჩის ჩატარება მოუწევთ, რის შედეგადაც შესაძლებლობა გვექნება საუკეთესოებს თანრიგები მივანიჭოთ. საშუალო ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა დეპეშით უნდა შეატყობინონ რესპუბლიკური სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს, ხოლო განაცხადები წარმოადგინონ 19 სექტემბრამდე. ყველა სკოლა შეჯიბრებაში თითო გუნდით გამოვა, თბილისის 35-ე საშუალო სკოლის გარდა, რომელსაც მოსწავლეთა დიდი კონტინგენტი აქვს, ამიტომაც მას მეტი გუნდის გამოყვანის ნება დართეს.

ყველაზე საინტერესო იქნება უფროსი ასაკის (1970-71 წლებში დაბადებულნი) პირველობა, რომელშიც პერსონალურად მონაწილეობს 6 გუნდი: „დინამო“ (თბილისი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი), 35-ე სკოლა (თბილისი), „გურია“ (ლანჩხუთი), „დინამო“ (ბათუმი) და „ტორპედო“ (ქუთაისი). ამ ასაკის პირველობა გაიმართება წლეულს სექტემბერ-დეკემბერში ორ წრედ, იგივე გუნდები მონაწილეობას მიიღებენ მომავალი წლის შეჯიბრებაშიც.

უფროსი ასაკის ფეხბურთელთა შეჯიბრებაში მომხდარი ცვლილებები იმითაა გამოწვეული, რომ საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ ცალკე ზონა გამოჰყო საქართველოსთვის, ამიტომ ზემოაღნიშნული გუნდები 1988 წლის მარტიდან დაიწყებენ გათამაშებას, ორი გამარჯვებული გავა საკავშირო პირველობის ნახევარფინალურ ჯგუფში. საყურადღებოა, რომ ამ 6 გუნდს ნება დაერთო გააძლიერონ თავიანთი შემადგენლობანი რესპუბლიკის იმ საფეხბურთო სკოლების ხარჯზე, რომლებიც აღნიშნულ გათამაშებაში არ მონაწილეობენ. განაცხადების წარმოდგენის ვადაა 20 სექტემბრამდე.

ამას წინათ მოეწყო წინასწარი თათბირი საფეხბურთო სკოლების ხელმძღვანელებთან, სადაც განიხილეს მომავალ პირველობათა ჩატარების პროექტი. რესპუბლიკური პირველობის უკეთ ჩატარების მიზნით გადაწყდა თამაშები მოეწყოს მოზრდილთა შორის საქართველოს პირველი და მეორე ჯგუფების კალენდრის შესაბამისად, ამით გაადვილდება შეჯიბრების მომსახურე მსაჯთა ადგილებზე მივლინების საქმე.

# „დინამო“ რემონტს საჭიროებს

## ქვეყნის წლევანდელ ჩემპიონატში აუტსაიდერთა შორის აღმოჩნდნენ თბილისელი ფეხბურთელები

შუაღამე ახლოვდებოდა, როცა თბილისელთა უფროს მწვრთნელს გამოვემშვიდობე და დინამოელთა საწვრთნელი ბაზიდან წამოვედი: ჩვენი საუბარი ყველაფერს შეეხო. ასათიანი გულისტკივილით ლაპარაკობდა გუნდზე, რომელშიც ადრე თვითონ თამაშობდა და ახლა სათავეში უდგას, სავსებით გასაგებ დაეჭვებაზე („ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც საჭიროა“?). მაგრამ, როგორც კი სიტყვა „დინამოს“ უმაღლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნაზე ჩამოვარდა, მწვრთნელის თვალებში იმედი ამოვიკითხე. მან თქვა:

— მდგომარეობა გუნდში თანდათან ნორმალური ხდება. ბიჭებს ღრმად სწამთ, რომ უკან დასახევი გზა აღარ არის.

და მართლაც, აი უკვე მეორედაა, ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, რომ კლუბი გავარდნის პირასაა მისული. 83-ში თბილისის „დინამო“ მე-16 ადგილს მოეჭიდა და გადაურჩა სირცხვილს. ახლა ეს ადგილი გუნდს ვეღარ უშველის: ლიგაში სულ თექვსმეტი გუნდია.

პარადოქსია, მაგრამ „დინამოს“ უკუსვლა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა თბილისელებმა ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს. 81-ში ევროპის თასების თასის მოგების შემდეგ ყველამ არა, მაგრამ ბევრმა მიიჩნია, რომ მთავარი მიზანი მიღწეულია. ნოდარ ახალკაცმა (მაშინ იგი უფროსი მწვრთნელი იყო) უცებ იგრძნო, რომ გუნდი აღარ ემორჩილებოდა მას. სადღაც გაქრა ყოველ მატჩში ფეხბურთელთა გამარჯვებისაკენ სწრაფვა. სამაგიეროდ ცდილობდნენ ფეხბურთის ხარჯზე მოელხინათ.

მწვრთნელი და მოთამაშეები სხვადასხვა პოლუსზე აღმოჩნდნენ. ახალკაცმა დატოვა გუნდი. შემდეგ რაც მოხდა, ცნობილია — ორ წელიწადში სამი უფროსი მწვრთნელი, მოთამაშეთა გაუგებარი მიგრაცია. უცებ ნახევარი გუნდი ქუთაისში აღმოჩნდა, იქიდან კი ამდენივე — ჟბილისში. „დინამო“ თანდათანობით საშუალო გუნდს დაემსგავსა.

გადასარჩენად კვლავ ახალკაცს უხმეს. რა უნდა ითქვას მის მუშაობაზე წინა სეზონის განმავლობაში? ერთი შეხედვით, გუნდმა თამაშს უმატა. იგი საუკეთესოთა ხუთეულშიც კი გავიდა, რითაც უეფა-ს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ფეხბურთელები მხოლოდ მწვრთნელისთვის თამაშობდნენ — თავს ზევით, ძალების უკიდურესი დაძაბვით. მახსოვს, „დინამოზე“ ვკითხე გავრილ დიმიტრის ძე კაჩალინს.

— მე მგონია, — თქვა მან, — ახალკაცი და გუნდი ერთ მთლიანობად ვერ იქცნენ. ერთად ყოფნა უჭირთ.

ეს სეზონის დამთავრებისთანავე დამტკიცდა. მოთამაშეებმა გადაჭრით უარი განაცხადეს ახალკაცთან ვარჯიშზე. აი, რას ამბობს ამ კონფლიქტის შესახებ გუნდის ექიმი ზაქარია თელია.

— როგორც სპეციალისტი, ნოდარ ახალკაცი, უდავოდ ძლიერია, მაგრამ მოთამაშეთა დაფასება, მათთან საერთო ენის გამონახვა არ შეეძლო. ვერ იტანდა საწინააღმდეგო აზრს. რა თქმა უნდა, ფეხბურთელებიც ანგელოზები არ არიან. მაგრამ, როცა მაგალითად, ახალკაცმა გაზაევი გარიცხა, ეს უცნაური გადაწყვეტილება იყო. მწვრთნელმა თვითონ მოიწვია თბილისში გაზაევი, სთხოვა დახმარებოდა გუნდს და ვალერიც ჩამოვიდა. მთელი მონდომებით თამაშობდა, ათ მატჩში ექვსი ბურთი გაიტანა და უცებ: „შეგიძლია წახვიდე, არ გვჭირდები“. ვიცი, გაზაევს მძიმე ხასიათი აქვს, უცებ აფეთქდება ხოლმე, მაგრამ ამისათვის გუნდიდან გაგდება შეიძლება?

ახლა გუცაევი? დარწმუნებული ვარ, მას კიდევ შეეძლო თამაში. ის კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მწვრთნელი მისკენ არც იხედებოდა. ვოვამ ხმაამოუღებლივ ჩამოჰკიდა ბუცები ლურსმანზე. თუმცა, ყიფიანიც, ხინჩაგაშვილიც, ხიზანიშვილიც (ყველა სპორტის დამსახურებული ოსტატია) ასევე წავიდნენ გუნდიდან. მათ „დინამო“ ასახელეს, მაგრამ მწვრთნელს თითქოს დაავიწყდა ყველაფერი ეს.

რამაზ შენგელიაც, — თქვა ზაქარია თელიამ, — ახალკაცმა კინაღამ გარიცხა. გუნდი გამოესარჩლა და დატოვა. აი, მწვრთნელთან მუშაობაზე კი უარი თქვეს.

და მაინც, ნოდარ ახალკაცის ხელში გუნდი ავად თუ კარგად თამაშობდა. ასათიანის დროს სატურნირო ცხრილის ბოლოში დაეშვა. შეიძლებოდა თუ არა ის კონფლიქტი სხვაგვარად დამთავრებულიყო?

— მე მგონი, არა, — თავს აქნევს თელია. — წინააღმდეგობა ძალზე ღრმა იყო.

ასათიანმა სამართლიანობის აღდგენით დაიწყო. საზეიმო გაცილება მოუწყო გუცაევს, გულითადად ესაუბრა შენგელიას: „რამაზ, დაივიწყე რაც იყო. გუნდს ძალიან სჭირდები“. მხარი დაუჭირა ჩელებაძეს, რომელსაც ახალკაცი, უბრალოდ, ხმას არ სცემდა, რატომ — რევაზს ეს დღესაც ვერ გაუგია. შენგელიამ ახალგაზრდობა გაიხსენა და ისე დაიწყო თამაში, როგორც თავის საუკეთესო წლებში. ჩელებაძეს კი ბედმა უმუხთლა: მენისკი დაიზიანა. „ეს ყველაზე დიდი დანაკლისია ჩვენთვის“ — სინანულით ამბობს ასათიანი.

მაგრამ ყველაზე დასანანი ის არის, რომ გუნდმა, რომელმაც ახალკაცი გადააყენა, თამაშით მხარი ვერ დაუჭირა ასათიანს. ვინაიდან იგი თავისი წინამორბედის სრულიად საწინააღმდეგო ხასიათისაა. როგორც კი მწვრთნელის სიკეთე იგრძნეს, ბევრმა უკლო თავისი თავისადმი მომთხოვნელობას.

ამაში „პირველი ხმა“ გრიგოლ ცაავას ეკუთვნის. ამ ნამდვილ ტალანტს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ის კი ბანგს, სასმელს მიეძალა. გუნდზე ცაავა აღარ ფიქრობდა, მხოლოდ სხვებს ურჩევდა საწამლავი დაეჭაშნიკებინათ. ამისთვისაც შეელიენ მას. ცაავამ მეორე ლიგის გუნდში — სოხუმის „დინამოში“ მოინდომა გადასვლა. ამ გუნდმა უარი უთხრა, მაგრამ „გურიამ“ „შეიკედლა“. მერწმუნეთ, დღევანდელი ცაავასგან მას არავითარი სარგებლობა არ ექნება.

რას წარმოადგენს დღევანდელი თბილისის „დინამო“?

ეს არის გუნდი რამდენიმე „მოხუცისა“, რომლებიც კვლავინდებურად ცდილობენ მინდორზე, მაგრამ მათ თამაშს უწინდებური ელფერი აკლია, და ახალგაზრდობისა, რომელსაც არავითარი სპორტული აზარტი და თავმოყვარეობა არ გააჩნია. რევიშვილი, მიქაშავიძე, ფანცულაია — ეს ბიჭები ევროპის ჩემპიონები არიან იუნიორთა შორის, მაგრამ სადაამათ თამაშში ის ცეცხლი, სურვილი წამყვანი როლის შესრულებისა, გუნდისთვის ნამდვილი დახმარების აღმოჩენისა? ჩივაძე და სულაქველიძე მუდმივად ვერ ითამაშებენ. ვინ რჩება მათ მაგივრად? მათ, ახალგაზრდებს, „დინამოს“ დიდების აღორძინება ეკისრებათ. არიან კი ამისთვის მზად? საეჭვოა!

ის, რაც „დინამოს“ დაემართა, ასათიანის სიტყვებს ვიხსენებ, წარმატებების გამო მეტისმეტი გულდამშვიდების შედეგია. გამარჯვების ჟამს რეზერვების მომზადებაზე არ გვიფიქრია. გვეგონა, რომ სამუდამოდ დაგვიდგა ოქროს ხანა. მაგრამ ასე არ ხდება. გვრცხვენია გულშემატკივრებისა: უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ვიბრძვით. მაგრამ „დინამო“ კვლავ ამაღლდება. მოვალენი ვართ ეს შევძლოთ.

ს. დადიანი.
„კომსომოლსკაია პრავდა“ № 214.
15. IX 87 წ.

# 17:16 კანადელთა სასარგებლოდ

ჰამილტონი. კანადის თასის მესამე ფინალური მატჩიც ადგილობრივ ჰოკეისტებსა და სსრ კავშირის ნაკრებს შორის უაღრესად მძაფრი ბრძოლით აღინიშნა და დამთავრდა იმავე ანგარიშით, როგორითაც ორი წინა შეხვედრა. გამარჯვება ამჯერადაც ტურნირის მასპინძლებმა მოიპოვეს.

პირველი პერიოდის შემდეგ ინიციატივას საბჭოთა სპორტსმენები ფლობდნენ — 4:2. საფიქრებელი იყო, რომ უპირატესობას ისინი მეორე პერიოდში უფრო გააღრმავებდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით. ეს საბედისწერო 20 წუთიანი მონაკვეთი კანადელებმა მშრალი ანგარიშით — 3:0 მოიგეს.

მესამე პერიოდში საბჭოთა ჰოკეისტებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 5:5. დამატებითი პერიოდი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ზედ მატჩის მიწურულში კანადელმა მ. ლემიემ გამარჯვების გოლი გაიტანა.

სპეციალისტთა აზრით საბჭოთა კავშირის განახლებული ნაკრები არატოლფასოვანი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ პირველი პერიოდი ჩვენმა ჰოკეისტებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს, მეორე კი — ყოველგვარ კრიტიკაზე უფრო დაბლა. შემადგენლობის უთანაბრობას მოწმობს ისიც, რომ სტუმართაგან შაიბები უმთავრესად ერთსა და იმავე მოთამაშეებს (ამჯერად, მაკაროვს, გუსაროვს, ფეტისოვს კრუტოვს, სემაკს) გააქვთ. მესამე ფინალურ შეხვედრაში კანადელთაგან თავი გამოიჩინეს: ტოკეტმა, პროპმა, მერფიმ, სატერმა, ჰავერჩუკმა და მ. ლემიემ.

ფინალური მატჩების საბოლოო ანგარიშია 17:16 მასპინძლების სასარგებლოდ, რაც ჩატარებული ბრძოლების სიმძაფრეზე და დრამატიზმზე მიგვანიშნებს.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

# „ჟალგირისი“ — ულიდეროდ

მილანი. კალათბურთელ ვაჟთა საკონტინენტთაშორისო თასს დღეისათვის კაუნასის „ჟალგირისი“ ფლობს. ახალი გათამაშება კი, რომელმაც წლევანდელი ლაურეატის ვინაობა უნდა გამოავლინოს იტალიის ამ ქალაქში გუშინწინ დაიწყო.

ტურნირის მონაწილენი ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. პირველ ჯგუფში გამოდიან: „ბარსელონა“ (ესპანეთი), ვაშინგტონის უნივერსიტეტი (აშშ), „ტრეისერი“ (იტალია), „ფეროკარილი“ (არგენტინა). მეორე ჯგუფში გაერთიანდნენ: „ჟალგირისი“ (სსრ კავშირი), „მაკაბი“ (ისრაელი), „მონტა ლებანო“ (ბრაზილია) და „ციბონა“ (იუგოსლავია).

„ბარსელონამ“ შედარებით ადვილად დაამარცხა ვაშინგტონის გუნდი, რომელიც არც ისე ძლიერი კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული — 121:103 (65:47).

წარმატებით დაიწყო ტურნირი მილანის „ტრეისერმაც“, თუმცა პირველი ტაიმი ბუენოს-აირესის „ფეროკარილთან“ ერთი ქულით (46:47) დათმო. იტალიელებმა თავიანთი ნამდვილი შესაძლებლობა შესვენების შემდეგ აჩვენეს და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს — 99:77.

ამ დღეს სამხრეთამერიკულ გუნდებს ბედი აშკარად არ წყალობდათ. დამარცხდა სან-პაულუს „მონტა ლებანოც“. მას ტელ-ავივის „მაკაბიმ“ აჯობა — 92:72 (42:33).

„ჟალგირისს“, რომელიც გათამაშებაში თავისი ტრავმირებული ლიდერის არვიდას საბონისის გარეშე თამაშობს, პირველი მატჩი ზაგრების „ციბონასთან“ ჰქონდა.

ჯგუფური ტურნირები ერთ წრედ ტარდება. ორ-ორი საუკეთესო კოლექტივი ნახევარფინალში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს. მათ შორის გამარჯვებულნი ერთმანეთს გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან. ფინალური შეხვედრა 20 სექტემბერს გაიმართება.

# „იუფენ-ჩედოკ-87“

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში უკვე მეოთხედ ჩატარდა ტრადიციული ღია საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „იუფენ-ჩედოკ-87“. პრაღაში ყოველწლიურად იკრიბება 350-მდე მოჭადრაკე ევროპის ათზე მეტი ქვეყნიდან, მათ შორის ნახევარზე მეტი საერთაშორისო დიდოსტატი და ოსტატია. თუ ადრე ყველა მოჭადრაკე ერთ დიდ მასობრივ ტურნირში თამაშობდა, ახლა მასპინძლებმა 5 კატეგორიის შეჯიბრებათა ჩატარება განიზრახეს. პირველი კატეგორიის ტურნირში საერთაშორისო დიდოსტატებს უნდა ეთამაშათ, მაგრამ მისი მოწყობა ვერ მოხერხდა. მეორე კატეგორიის შეჯიბრებაში შესაძლებელი იყო საერთაშორისო ოსტატის ნორმატივის შესრულება, მესამე ტურნირი განკუთვნილი იყო ძირითადად ფიდე-სა და ეროვნული ოსტატების, აგრეთვე ოსტატობის კანდიდატებისა და პირველთანრიგოსნებისთვის. მეხუთე შეჯიბრებაში 65 წელს გადაცილებული ვეტერანები მონაწილეობდნენ.

მესამე კატეგორიის ტურნირში სულ 80 მოჭადრაკე ჩაება. სხვებთან ერთად აქ გამოდიოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები, ოსტატობის კანდიდატები დავით ჯაფარიძე და ვარლამ ვეფხვიშვილი.

კარგად ითამაშა ვ. ვეფხვიშვილმა, რომელმაც 10 შეხვედრიდან 7 ქულით (+6—2=2) VI საპრიზო ადგილი დაიკავა.

სუსტად გამოვიდა დ. ჯაფარიძე, რომელიც 4,5 ქულით 56-ე ადგილს დასჯერდა.

# სპორტი — დასვენება

კარაკასი. ვენესუელის მოსახლეობის დასვენების ერთ-ერთი საშუალება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებია. სპორტი დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ ადამიანის უებარი წამალია, — განაცხადა ვენესუელის დედაქალაქის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის ხელმძღვანელმა, ფიზიკური აღზრდის სპეციალისტმა, პროფესორმა ფრანსისკო რამოსმა.

მისივე დახმარებით ინსტიტუტი ამზადებს ფიზკულტურის მასწავლებლებს, რომელთა სპეციალობაა „სპორტი და დასვენება“. რამოსმა შეადგინა მოსახლეობის ყველა ფენის — ბავშვიდან პენსიონერამდე სპორტში სამეცადინო სპეციალური პროგრამა.



თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

21 სექტემბერი ● ფეხბურთი ◆ სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „ნეფთჩი“ (ბაქო)

დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 17, 18, 19, 20 და 21 სექტემბერს, ორგანიზაციებში 17 და 18 სექტემბერს. სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ბილეთების შეძენა შეუძლიათ №7 სალაროში.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 20 სექტემბერს.

დასაწყისი 17 საათზე.

უამინდობის შემთხვევაში თამაში შედგება „ლოკომოტივის“ სტადიონზე იმავე დროს.

იმასთან დაკავშირებით, რომ თამაშის დაწყებამდე 1 საათით ადრე შეწყდება ლატარიის ბილეთების გაყიდვა, გთხოვთ იზრუნოთ მათი დროულად შესაძენად.

## ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 17 სექტემბერი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 20.30 (2); საკონტინენტთაშორისო თასი კალათბურთში: „მონტე ლიბანო“ (ბრაზილია) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) — 21.20 (2); უეფა-ს თასი ფეხბურთში: „ლოკომოტივი“ (სოფია) — „დინამო“ (თბილისი) — 22.50 (2).

18 სექტემბერი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); მსოფლიო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში (გადაცემა ბულგარეთიდან) — 20.00 (2); საკონტინენტთაშორისო თასი კალათბურთში: „ტრეისერი“ (იტალია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) — 21.20 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი რუსულ რიკაობაში (ქალაქობანა) — 24.00 (2).

საქართველოს ტელევიზია. 17 სექტემბერი. უეფა-ს თასი ფეხბურთში: „ლოკომოტივი“ (სოფია) — „დინამო“ (თბილისი) — 22.50.

საქართველოს სპორტსახკომი, ფეხბურთის სამმართველო, ვეტერანი ფეხბურთელები თანაგრძნობას უცხადებენ ფეხბურთის სამმართველოს თანამშრომელს ოტია ჟორდანიას შვილის, ჭაბუკ ფეხბურთელთა 1973 წლის სსრ კავშირის ჩემპიონის

**დათო ოტიას ძე ჟორდანიას**

უდროოდ გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66425

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07984